№ 41 თებერვალი 25, ოთხშაბათი 1887 თებერვალი 25, ოთხშაბათი № 41

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

მარიამ გაბრიელის ასული მდებრიევისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თვისის შვილისას, სიონის სობოროს მღვდლის გრიგოლ სვიმონის-ძის მდებრიევისას და სთხოვს მობრძანდნენ 27-ს თებერვალს ათს საათზედ ანჩხატის გალავანში გვამის გამოსასვენებლად.

ტფილისი, 24 თებერვალი

ჯერ მინამ შევუდგებოდეთ იმის გარჩევას თუ, — რომელი კეთება ღვინისა უმჯობესია, ჩვენებური თუ სხვაებური და ერთისა და მეორის ავკარგიანობას ერთმანეთს პირში წავუყენებდეთ უტყუარის განაჩენის დასადგენად, საჭიროა ვიცოდეთ რაშია ჭეშმარიტი ღირსება ღვინისა. რა თქმა უნდა, ღვინო, როგორც სასმელი, რომელსაც მარტო ადამიანი ჰხმარობს, უნდა გაისინჯოს იმისდა მიხედვით თუ, — რა გვარ უხდება, რა გვარს შემწეობას უწევს ადამიანის აგებულებას, ანუ, უკედ ვსთქვათ, რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა.

ამ საგანზედ აი რა აზრია გამოთქმული მეცნიერთაგან. ღვინო საკვებავი არ არის ადამიანის აგებულებისათვის; იგი აგებულებას საზრდოს არ აძლევსო; იგი მარტო სანელებელია და ყველაზედ უკეთესი სანელებელიც, რომელიც ძალიან კარგად მოჰქმედებს ადამიანის ძარღვებსა, გუნებასა და გონებაზედა. ამისთანა თვისებამ ღვინისამ ისეთს აღტაცებაში მოიყვანა ძველს დროში ასკლეპიადი, ჰიპოკრატის*) მიმდევარი, რომ მან თავის თხზულებაში სთქვა: «ღმერთთა ძლიერებამ არა მგონია იმოდენა ჰქმნას, რაც ღვინის სიკეთემ და სარგებლობამაო». ეს ასკლეპიადი პირველი იყო, რომ სხვა-და-სხვა გვარს სნეულებას უფრო ღვინით სწამლობდა. მის მაგალითს აჰყვნენ ბოლოს მკურნალნი სიდენჰამი, სვიტენი, ჰუფელანდი, გრანტი, ჰუქსამი და დასასრულ ბროუნიცა, რომელმაც მთელი სკოლა მკურნალობისა შეადგინა ინგლისში და მისი ღვინით წამლობა დღესაც ცნობილია მისისავე სახელით „ბროუნიზმ“. მკურნალი სტოკესი დუბლინში სახადს და საოფლეს ღვინით არჩენს, ტოდერე წითელას მარტო ღვინითა სწამლობს, ლებენსტეინ-ლებელი თითქმის ყველა სენსა მარტო ღვინითა ჰკურნავს.

ეს ღვინის მარგებლობა დამტკიცებულია მეცნიერთა გამოცდილებითა. მაგალითებრ, ზღვაში ღელვის დროს ორი გემი მომწყვდეული ყოფილა, ერთი ინგლისელებისა და მეორე ფრანგებისა, ორსავე გემში გაჩენილიყო ერთგვარი ავად-მყოფობა, რომელსაც ჩვენში პირის ტკივილს და უფრო გაძლიერებულს, ვგონებთ, ელქანს ეძახიან და მკურნალობაში „სკორბუტი“ ჰქვიან. ფრანგის მეხომალდეთა, რომელთაც ღვინოს ასმევდნენ თურმე, ამ საშინელმა სნეულებამ არა დააკლო-რა ინგლისელები კი არაყს ასმევდნენ და კინაღამ არ გაწყდნენ. როდესაც პარიჯს გარს ერტყა გერმანიის ჯარი და გასვლა-გამოსვლა აღარავის შეეძლო, ზემოხსენებული სენი საშინელის სიმძლავრით გაჩნდა. მაშინ მკურნალმა ბრუადელმა ღვინო იხმარა წამლად და ამით არჩინა სნეულნი. ამას ამბობენ, ვითომც ციებ-ცხელებაში ცხროებას ანელებს ღვინო და საზოგადოდ აგრილებს ადამიანის აგებულებასა. ერთი საფრანგეთის მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით წრაფია, მოსწრებულია, მახვილ-გონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა (პივას) ჰხმარობენო.

ეს იქნება გერმანელთა მტრობით მოსდის ფრანგსა, იქნება ყოველს ამაში ცოტად თუ ბევრად გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა; ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისას. ამ სახით, ამბობს ერთი მწერალი: ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებლებზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ-რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა. ერთი ყულაპი კარგის ღვინისა გამოახალასებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულსა.

რა ჰხდის ღვინოს ესოდენ მარგებელად, ესოდენ სასარგებლოდ? მარტო ერთი ყოვლად შემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან. მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი.

---

*) სახელოვანი მკურნალი ძველის საბერძნეთისა სცხოვრებდა ქრისტეს წინად მეხუთე საუკუნეში და მკურნალთა მამა-მთავრად დღესაც ცნობილია.

თავად იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილის იუბილეის გამო.

ის ითქმის კაცად,
ქველად და ნათლად
ვინც თვის სამშობლოს ემსახურება;
ნათლის თვალითა
და სიმართლითა
მის სამსახურში ვინც მოხუცდება,

—

ვინც განვლო გძელნი
ჟამნი და წელნი
და ნათლად მოჩანს მის მნათი კვალი;
წმინდის გულითა,
მხიარულითა
ვინც აღასრულა მისდა თვის ვალი,

—

ის არს ის კაცი,—
თუმც ხნით მოხუცი,
მაგრამ ჭაბუკი არს მარად სულით;
თვალით ნათელი
და გულით წრფელი,
კაცთ სიყვარულის გრძნობისა სრულით.

—

დიახ! ის მნათი
ორმოც-და-ათი
წელნი ერს წმინდად შენ ემსახურე
და აწ მადლობას
და თანაგრძნობას
მოგიძღვნის გულით მთლად ჩვენი მხარე;

—

და ცამ ინებოს,
რომ ჩვენს სამშობლოს
მოეცეს ხშირად შენებრ ძე ქველი.
შენთვის კი ღმერთსა,
ვთხოვთ მადლს—ერთსა
სრულის სიმთელით მოგცეს დღე გრძელი.

ვ. ო.

23 თებერვალი

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის მეორე კლასიკურს გიმნაზიაში რამდენსამე შეგირდს საზამთრო პალტო დაუკარგავს ამას წინად. პოლიციას ეს პალტოები უპოვნია იარმუკის დალალების დუქნებში. დალალებს უთქვამთ, რომ ეს პალტოები თვით გიმნაზიის შეგირდებმა მოგვყიდესო. სახით-კი ვიცნობთ და გვარი-კი არ ვიცით იმ შეგირდებისა, რომელთაც მოგვყიდესო. გუშინ-წინ ზემოხსენებულნი დალალნი, დირექტორის განკარგულებით, მიიყვანეს გიმნაზიაში და წარუდგინეს ყველა შეგირდები. დალალებმა ორს მცირეწლოვანს გიმნაზიელს დაადეს ხელი: ერთი რუსია და მეორე, ვგონებთ, ებრაელიო.

⁂ ტფილისის საქალაქო ფულის გამსესხებელი კასსა კვირას, 1 მარტს გაიმართება ჩვენს ქალაქში.

⁂ რადგანაც რკინის-გზა გაფუჭდა ხაშურსა და ყვირილას შუა მიწის ზვავის გამო მე 145 ვერსთან და ამ ადგილას მატარებელი აღარ დადიოდა, ამ ორს სამს დღეში ქუთაისიდამ ფოსტა არ მოსულა. დღეს, როგორც რკინის-გზის გამგეობა იცხადებს, უკვე გაუსწორებიათ გზა და მისვლა-მოსვლა გუშინდლიდამ კვლავ დაწყებულა.

⁂ ბაკურციხიდამ გვწერენ: ჩვენი სოფელი საკმაოდ დიდი სოფელია. 24 კომლი თავადიშვილია და 250-მდე გლეხ-კაცი. შეძლებითაც სხვა სოფლებს არ ჩამოუვარდებიან არც ჩვენებური თავადიშვილები და არც გლეხკაცები. წელიწადი ისე არ გავა, რომ თავადიშვილმა ხუთი ურემი ღვინო

ფელეტონი

სამეცნიერო ამბები

ადამიანის უხილავი მტერი.—საზარელია, უძლეველი და შეუბრალებელი ეს მტერი.—დაშხამული იარაღი.—რა იყო უწინ ეს მტერი?—ვინ აღმოჩნდა ეს უხილავი მტერი?—თვალ-გადუწვდენელი ქვეყანა, უჩინარ ცხოველებით დასახლებული.—მტერს მტერი არ დაელევა.—ვინ აღმოჩნდა ჩვენი მოკეთე?—რა არის „მიკრობი“ და „თეთრი მარცვალი“?—ამათი მტრობა ერთმანეთში.—შეჩვეული ჭირი სჯობია.—მეცნიერი პასტერი.—ცოფის აცრა.—მეცნიერების ახალი გამარჯვება.

ყველა მტერს გაუძლებს ადამიანი, პასუხს გასცემს როგორმე, ოღონდ თვალითა ჰხედავდეს, ოღონდ იცოდეს, ვისთანა აქვს საქმე. მაგრამ რა ქნას, როდესაც მტერი ფარულია, უჩინარი, უხილავი, როდესაც ადამიანმა არ იცის, სად, როდის და როგორ დაესხმის თავსა. აი ასეთი მტერი ჰყავს ადამიანს და მერე განა ერთი და ორი, ურიცხვი, უთვალავი.

საშინელია, საზარელია ეს მტერი, ამასთან გულ-ქვავი და შეუბრალებელი! არ ჰზოგავს არც დიდსა და არც პატარას, არც მოხუცს და არც ძუძუ-მწოვარას, არც მდიდარს და არც ღარიბსა, არც ძონძებში გახვეულს და არც ოქრო-მკედით მოსილსა,—ყველას ერთგვარად უსვამს ცელსა. ამიტომაც შიშის ზარი დასცემს ხოლმე ადამიანს, როცა ხმა გაისმის, რომ ამა-და-ამ ადგილას ამ საზარელმა მტერმა თავი იჩინაო.

მძლავრია, უძლეველი ეს მტერი! თვით ბისმარკი და მისი ძლევა-მოსილი ჯარი, თუნდა გამოჩენილ მოლტკეს მეთაურობითაც, ღმერთმა შეარცხვინოს ამ მტრის ძალასთან. ან კი რა სათქმელია თუნდ მთელის ევროპის რამდენიმე მილიონი ჯარი, როდესაც ამ არა-ხილულს მტერს ოც-და-ოთხის საათის განმავლობაში ათასს მილიონობით შეუძლიან გამოიყვანოს ჯარი საომრად. მერე იცით, რა იარაღით არიან შეჭურვილნი ეს ჯარები? დღევანდელი უზარმაზარი, ჯარების მმუსრავი ზარბაზნები, ახლად მოგონილი „მალაზინის“-თოფები, ეს რაღაც ასაფეთქებელი წამლები „მელინიტი“ და „რობურიტი“,—ყველა ეს ყმაწვილების სათამაშოდ გამოჩნდება იმ მოწამლულ და მოშხამულ იარაღებთან, რომელსაც ის საზარელი, უხილავი მტერი ჰხმარობს.

თუმცა მტერი თვითონ უჩინარია, თვალთ-მიუწდომელია, მაგრამ ის იარაღები, რომელსაც ეს მტერი ჰხმარობს, ადამიანმა კარგად იცის, თავის თავზე გამოუცდია ამათი მოშხამული ძალა. საზარელი სახელები აქვს ამ იარაღს: ხოლერა, ჭამი, შავი ჭირი, მოარული, ყვავილი, სახადი, საოფლე, ჰლექი და ბევრი სხვა,—აი რა ჰქვიან ამ იარაღებს!

⁂

დღეს კიდევ ალბად ღვთის წყალობაა! დღეს ამ საზარელს მტერს ზოგიერთი იარაღი თითქოს დაუჩლუნგდა, ზოგიერთის ხმარება თითქოს სრულიადაც დაავიწყდაო. სულ სხვა იყო უწინ. კაცობრიობის წარსულს ცხოვრებას თვალი რომ გადავავლოთ, ისეთ საზარელს საქმეებს დაეინახავთ, რომ შიშით თმა ყალყზე შეგვიდგება. ხშირად ისე მკაცრად, მრისხანედ და მედგრულად შემოუტევია ამ მტერს კაცობრიობისათვის, რომ ადამიანი სასო-წარკვეთილებას მისცემია და უფიქრია: ეს არის დადგა დღე განკითხვისაო, ცა განრისხდა და ადამიანს დედამიწის ზურგიდამ აღმოფხვრას უპირებსო.

ესეთის განსაცდელის დღე დაადგა კაცობრიობას, მაგალითად, მეთოთხმეტე საუკუნეში, როდესაც ამ უხილავმა მტერმა მთელი ევროპა თითქმის გაანახევრა. საშინელი იყო ეს მტერი, სახელად „ჭამი“ ანუ „შავი ჭირი“ უწოდა ადამიანმა ამ ღვთის რისხვასა.

ეს მტერი ჯერ სპარსეთში გაჩნდა. ევროპაში რომ ამის ხმა გავარდა, ყველას ელდა ეცა, შიშის ზარი დაეცა. მაგრამ შიში ხომ არაფერი ფარ-ხმალია მტრის წინააღმდეგ. არ გაუვლია დიდხანს, და ეს მძვინვარე მტერი შემოესია ევროპასაც. დაიწყო შეუბრალებლად ადამიანის მუსრვა. პირველად ჯერ ზღვის პირის ქალაქებს მიადგა. ქალაქ გენუაში ისე გააწყო ხალხი, რომ ნახევარზე ჩამოიყვანა. ნეაპოლში 60 ათასი მცხოვრებელი მიაწყო. ვენეტიკაში 100 ათასის მცხოვრებელისაგან 20 ათასი აღარ დარჩენილა. საფრანგეთის ერთს მონასტერში 118 ბერი ერთს ღამეს გასწყვიტა სრულიად.

აქ რომ გული ისრულა და იჯერა, გასწია სხვაგან და ორის წლის განმავლობაში მთელი ევროპა მკვდრებით მოჰფინა. ისტორია მოგვითხრობს, რომ რუსეთის ქალაქ სმოლენსკში მთელი ხალხი ამოჟლიტა, ასე რომ დარჩა მხოლოდ ერთი მოხუცი, რომელმაც ქალაქის კარი დაკეტა და თითონ ტყეში გაიხიზნა.

დიახ საშინელი დრო იყო, საშინელი ჟლეტა ხალხისა. კაცობრიობას არ ახსოვს არაფერი ამისი მსგავსი; ვერა ომი ამოდენა ხალხს ვერ გაჰმუსრავდა. არასოდეს ასეთი საშინელი მტერი, ასეთი უბედურება არ [illegible] კაცობრიობას. ამის დამ[illegible] მნახველნი ასე მოგვი[illegible] დროს:

არ გაჰყიდოს, ურემი ოც და-ათ თუმნად. ისეთებიც არიან, რომ ათსა და ოცს ურემს ღვინოს გაჰყიდიანო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სოფელს-კი აქამდე საკუთარი სკოლა არა აქვს და გლეხ-კაცობაში ძალიან იშვიათაა წერა-კითხვის ცოდნა. ნუ თუ ამისთანა სოფელს ერთის სკოლის დაარსება გაუჭირდაო.

⁂ ოზურგეთიდამ გვწერენ: ამას წინად ჩვენს ქალაქში ფაეტონები არ იყო და არც საჭიროდ მიგვაჩნდა. მერე, რაკი ბათუმის რკინის-გზამ ჩვენს ქალაქს ახლო გაუარა, ერთი მეფაიტონე ჩვენშიაც გაჩნდა, მაგრამ იმ მეფაიტონემ ძალიან შეგვაწუხა, რადგან თავის ნებაზე იქცეოდა და რამდენიც უნდოდა, იმდენს ახდევინებდა ხალხს. შემდეგ ამ მეფაიტონეს გარდა ოთხი სხვაც გაჩნდა. ამათ ყველამ შეჰკრეს პირი და ისეთი ფასი დააწესეს ფაიტონით სიარულსა, როგორიც თავად ჰნებავდათო. კარგია კიდევ, რომ ამ ბოლოს დროს გაჩნდა დილიჟანი და ის ბევრად ნაკლებს გვახდევინებს რკინის-გზის სადგურამდეო.

⁂ ქუთაისიდამ გვწერენ: ბ-ნ ალნიაშვილის მომღერალთა გუნდის მაგალითმა გაიტაცა ქუთათურებიო. ისე მოეწონათ ამ გუნდის სიმღერები, რომ აქაც მოინდომეს ხოროს შედგენა და სხვა-და-სხვა საერო სიმღერების სწავლა. ამას წინად საკმაოდ ბლომად შეიკრიბნენ ახალგაზდანი, ქალნი თუ კაცნი, მიჰმართეს ერთს მუსიკის მცოდნეს და სთხოვეს, რომ ნოტები გვასწავლე და ნოტებზედ გადაღებული სიმღერები გვათქმევინე ხოლმეო.

⁂ ოდესიდამ გვწერენ, რომ აქაურს სასულიერო სემინარიაში რამდენიმე ქართველი მოსწავლენი ვართო. რადგანაც სამშობლოს მოშორებულნი ვართ და სულითა და გულით-კი გვსურს მანდაური ამბები ვიცოდეთ, ამიტომ შარშან ვსთხოვეთ ქართულ გაზეთების რედაქციებს, თავიანთი გაზეთი გამოეგზავნათ ჩვენთვის უსასყიდლოდ. აქამდე მხოლოდ თქვენი გაზეთი მოგვდის, სხვა გაზეთები-კი ჯერ არ მიგვიღიაო. იმედი გვაქვს, არც სხვა რედაქციები დასტოვებენ ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ.

⁂ 20. თებერვლიდამ ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებას დაუწყვია საქმეების გარჩევა ახალ-ქალაქში. ახალ-ქალაქიდამ ეს განყოფილება ახალციხეს გადავაო. (გაზ. „კავკაზი“)

⁂ გაზ. „Нов. Вр.“ გვაუწყებს, რომ წელს ბაქოში ახალი იარმუკა გაიმართება და 6 მაისიდამ დაწყობილი 1 ივნისამდე იქნება ვაჭრობაო. ამ იარმუკას „ნიკოლოზის“ იარმუკა დაერქმევა სახელად რუსეთის სახელმწიფოს მემკვიდრის პატივ-საცემლადაო.

⁂ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ 24 თებერვალს უნდა განეხილათ ნავთის გამყვანის მილის საქმე მინისტრთა კამიტეტს პეტერბურგში და არა სახელმწიფო რჩევასაო.

⁂ „Моск. Вѣд.“-ი ამბობს: ამ ახლო ხანებში სახელმწიფო რჩევას იმაზედ ექნება სჯა, რომ იმიერ-კასპიის ოლქის გამგეობა კავკასიას აღარ ექვემდებარებოდეს და საკუთარი გამგეობა მიენიჭოსო

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ ამიერ-კავკასიისა და იმიერ-კასპიის ოლქის რკინის გზის გამგეობათა მოლაპარაკება აქვთ ამ ჟამად იმის გამო, თუ როგორ მოახერხონ, რომ უფრო რიგიანი და წესიერი მისვლა-მოსვლა იქმნეს გამართული ამ ორ რკინის გზათა შორისო.

ტფილისის ქალაქის საბჭო

(23 თებერვლის კრება)

პირველად კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, მიეცეს ქალაქს სარგებლის გადაუხდელად სესხი წყალის უფრო მომეტებულად გასაყვანად ქალაქში.

ეს მოხსენება მდგომარეობს შემდეგში: შარშან ქალაქს უთხოვნია მთავრობისათვის, რომ უცხოეთიდგან წყლის გასაყვან მილების შემოტანის ბაჟი ერთბაშად ნუ გადაგვხდება, და ეს ფული (160,000 მან.) 15 წლის ვადით გაგვინაწილეო, მაგრამ მთავრობამ უარი უთხრა ქალაქს იმ აზრით, რომ ამით რუსეთის მრეწველობას ხელი შეუწყოს, რადგან ქალაქმა ამ შემთხვევაში რუსეთში უნდა იყიდოს ეს მილები და ყველა საჭირო იარაღი წყლის გასაყვანადაო. ქალაქის საბჭომ შარშანვე დაადგინა, რომ რაც თავისუფალი ფული დაგვრჩება იმით, რომ ბაჟის ფული რამდენსამე ნაწილად გაიყოფება, ამ ფულით უთუოდ რუსეთში ვიყიდით მილებსაც და სხვა საჭირო იარაღსაცაო და ქალაქის თავმა ხელ-მეორედ იშუამდგომლა. ამის შუამდგომლობას ბ ნ მთავარ-მართებელმაც ხელი შეუწყო და შინაგან საქმეთა მინისტრმაცა.

ეხლა ფინანსთა მინისტრი დათანხმებულა, რომ სარგებლის გადაუხდელად მიეცეს ქალაქს სესხი წყლის მოსამატებლად, რადგან ქალაქი ნამეტანს დაბრკოლებას ჰხედავს ფულების უქონლობის გამო და ამისათვის ბ. ნმა მინისტრმა ითხოვა, რომ გამოკვლეულ იყოს, რამდენი ფულია საჭირო და რა გზით აპირებს ქალაქი ამის გადახდას; ამასთანავე აუცილებლად ის პირობაც უნდა დაერთოს, რომ საჭირო მილები და იარაღი უთუოდ რუსეთის და არა უცხოეთის ქარხნებისაგან შეიძინოსო.

ამის შესახებ განაჩენი ხომ შარშანვე იყო დადგენილი, ეხლა მხოლოდ გამოსაკვლევი ეს დარჩა, თუ რამდენი ფულია საჭირო და რა გზით უნდა გადუხადონ მთავრობას ეს ფული. ამისათვის გამგეობამ პირველი საგანი მიანდო ერთ-ერთს იმ ინჟენერთაგანს, რომელთაც აბარიათ წყლის გაყვანის საქმე, რომ წარმოედგინა ვარაუდობით რამდენი ხარჯი კიდევ დასჭირდება წლის მომატებისათვის.

ეს აღრიცხვა შედგენილია და აქედგან სჩანს, რომ იმის გარდა, რაც ეხლა წყლის გასაყვანი მილებია (31 ვერსის მანძილზედ), აუცილებლად საჭიროა კიდევ 22 ვერსტის მანძილზედ წყლის გაყვანა (სულ ქალაქის ქუჩებს 140 ვერსის სიგძე აქვთ). რაც უნდა წვრილი მილები ვისურვოთ, მაინც საჭიროა 156,496 მან. და 28 კაპ. რაც შეეხება იმას, რომ როგორ, რა გზით და საიდამ უნდა გადავუხადოთ ეს ფული მთავრობასა, ამის გამო გამგეობას დაწვრილებითი ანგარიში მოჰყავს და აქედამა სჩანს, რომ ამ 22 ვერსის მანძილზედ გაყვანილი წყალი თითო ვერსზედ წელიწადში არა ნაკლებ **ასის** თუმნის შემოსავალს მოგვცემსო, ასე რომ 22 ვერსი **ორი ათას ორას** თუმანს შემოიტანსო და ეს ფული კიდეც აღემატება იმ ნაწილს, რაც უნდა ყოველ წლივ ვუხადოთ მთავრობასაო სესხის გადასახდელად და იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც საჭირო იქნება ამ 22 ვერსის შემატებისათვისაო. რაც შეეხება იმას, თუ როდის, რა ვადაზედ უნდა გადავუხადოთ ეს ფული მთავრობას, საჭიროა ერთი რამ არ დავივიწყოთ ამ შემთხვევაშიო: პირველ ხანებში წყლის მილები სარგებლობას არასოდეს არ იძლევიან არსად, რადგან მცხოვრებნი მალე ვერ ეჩვევიან ხოლმე აქედგან წყლის ხმარებას და შემოსავალი ვარაუდით ხუთის წლის შემდეგ თუ დაიწყებს აღმატებასაო. ამიტომაც ქალაქის მმართველობა რომ პირ-მართალი გამოვიდეს მთავრობის წინაშე, საჭიროა ვიშუამდგომლოთ, რომ პირველი გადასახადი სესხის მილებისა ხუთის წლის შემდეგ დავიწყოთ და ამის შემდეგ მთელი ვალი ათის წლის განმავლობაში მოეთხოვებოდეს ქალაქსაო, ე. ი. სესხის მილების დღეიდგან 15-ის წლის განმავლობაშიო.

ამ მოსაზრებით ქალაქის გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, მოგვცეს სარგებლის გადაუხდელად 156,500 მანათი შემდეგის პირობებით:

ა) სესხის დაბრუნების გირაოდ იყოს შემოსავალი წყლისა და თუ ეს შემოსავალი ვერ აუვა, ამ შემთხვევაში მთელი ქონება ქალაქისა.

ბ) სესხი გადაიხადოს **ათის** წლის განმავლობაში, ე. ი. წელიწადში 15,650 მან. და გადახდა ვალისა დაიწყოს სესხის მილების დღიდგან ხუთის წლის შემდეგ.

გ) სესხი ქალაქის ვალად ჩაითვალოს მთავრობის წინაშე და ვადაზედ შესატანი ფული-კი ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის სიაში შეიტანებოდეს ყოველ-წლივ, როგორც სავალდებულო ხარჯი.

დ) ყველა გასამატებლად საჭირო წყლის გასაყვანი იარაღი ქალაქმა აუცილებლად რუსეთის ქარხნებისაგან დაიბაროს და არამც-და-არამც უცხოეთიდგან.

საბჭომ გამგეობის მოხსენება ერთხმად მიიღო.

(შემდეგი იქნება)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. გორა-ჯიხაიში, 8 თებერვალს. კვირას, 1 თებერვალს, იყო მეორე კრება გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა, რადგანაც პირველი კრება ვერ შესდგა. მეორე კრებაზედ დაესწრო მხოლოდ ას ექვსი წევრი, რომელნიც შეუდგნენ ამხანაგობის საქმეების განხილვას. თითქმის საღამომდის გასტანა მათმა კამათობამ, ყვირილმა და ბრძოლამ, მაგრამ მაინც ვერაფერ დასკვნასა და გზას ვერ დაადგნენ. საღამო ჟამს დაღლილნი, დაქანცულნი და მშიერნი წევრნი ამხანაგობისა თავ-თავიანთ სახლისკენ გაემგზავრნენ, რადგანაც კუჭმა თავისი ხარკი მოითხოვა, და კრებაზე დარჩა მხოლოდ ორმოცი წევრი. თავ-მჯდომარისა და გამგეობის წინადადებით ამ 40 წევრმა გადასწყვიტა ყოველივე ამხანაგობის საქმეები. ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ეს ორმოცნი მომხრენი არიან გამგეობისაო. ზემოხსენებულმა ორმოცმა წევრმავე დაამტკიცა გავლილ 1886 წლის ანგარიში და იმათვე ამოირჩიეს რჩევაში წინანდელნივე წევრნი, თუმცა წესდების ძალით „უსათუოდ“ ორი უნდა გამოეცვალათ და იმათ მაგიერ ორი ახალი უნდა ამოერჩიათ. რაიცა შეეხება გამგეობას, ერთი მათგანი „აუცილებლად“ უნდა გამოეცვალა ამხანაგობას, წესდებისავე ძალით; მაგრამ რადგან ამ ორმოცს ძველი სურდათ, იგივე დასტოვეს, თუმცა ეს გარემოება პირ-და-პირ არღვევს წესდებასა.

ბოლოს თავ-მჯდომარემ და გამგეობამ მიჰმართა იმ 40 წევრს შემდეგის სიტყვით:

„შარშან ჩვენ ბეჯითად, მუყაითად ვიმუშავეთ და ბევრი სარგებლობაც მოვუტანეთ ამხანაგობას(?) და ამისთვის სასყიდელი უნდა მოგვეცეს(?), რომ მომავალ წლისთვისაც კარგად

„ვერც სამხრეთი და ვერც ჩრდილოეთი, ვერც წყალი და ვერც ხმელეთი, ვერც მთა და ვერც ბარი ვერ დაუდგა წინ ამ საზარელს ჟამსა. მთა და ბარი, ტყე და ველი, კლდე და ღრე, მიწა და წყალი, ქალაქი და სოფელი სულ გაათანასწორა, სულ გადალახა. ვერც სიცივე და ვერც სიცხე ვერას აკლებდა. განურჩევლად მუსრს ავლებდა დიდსა და პატარას, მდიდარსა და ღარიბსა, ქალსა და ვაჟსა: ვერც ყმაწვილების უმანკოებამ, ვერც დიდების წყევლამ და გოდებამ ვერ მოარბილა გაქვავებული გული ამ განრისხებულის მტრისა. ხან-დის-ხან მიყუჩდებოდა, მიწყნარდებოდა და ჩვენც იმედი მოგვეცემოდა ხოლმე; გვეგონა, მოერჩით, თავიდამ მოგვშორდაო, მაგრამ ხელ-ახლად მოგვიბრუნდებოდა და შემოგვიტევდა უფრო განძვინებული, უფრო გაშმაგებული. კაცობრიობამ იმედი გადიწყვიტა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის განკითხვის დღემ მოაღწიაო.›

⁂

ს უხილავი მტერი, ასე
ს წარსულში, მით უფრო, რომ მაშინ კაცობრიობამ სრულიად არა იცოდა-რა ამისი, ადამიანი ვერ მიმხვდარიყო, სად იმალება ეს მტერი და ან როგორ და საიდამ ჩნდებოდა. სულ ასს წელიწადზე მეტი არ არის, რაც მიჰხვდა მეცნიერება და ეს უხილავი მტერი ხილულად გახადა. მეცნიერებამ აღმოაჩინა ამის საცხოვრებელი ადგილი, გაიგო მისი ცხოვრება, ვინაობა, თვისება, ხასიათი.

მერე ვინ აღმოჩნდა ეს მტერი? უჩინარი, პაწია, ძალიან პაწია ცხოველი, ისე პაწია, რომ ნემსის წვერის ოდენა წყლის ცვარში ათი-ათასობით მოთავსდება ეს ცხოველი.

რასაკვირველია, ყველა მაშინვე იკითხავს: ეს ძალიან კარგი, მაგრამ თუ ეს ცხოველები ესე პაწიები და უხილავნი არიან, მაშ მეცნიერებმა როგორ-ღა ნახესო? დიახ, მართალია, პირ-და-პირ თვალით ვერც ესენი დაინახავდნენ ამ ცხოველებს. მაგრამ ხომ გახსოვთ წარსულს ფელეტონში ტელესკოპებზე რა გითხარით, იმ უზარმაზარ დურბინდებზე, რომლის შემწეობით მეცნიერები შორეულ, ძალიან შორეულ ვარსკვლავებს ჰსინჯავენ და იქაურ ვითარებას იტყობენ? აი სწორედ ამ გვარადვე ერთგვარ მინებით მოწყობილი დურბინდები აქვთ მეცნიერებს. ამ დურბინდს „მიკროსკოპი“ ჰქვიან. ამ მიკროსკოპში ისე დიდადა ჩანს საგანი, რომ მაგალითად, ნემსის ყუნწი შესაძლოა მუშტის ოდენად გეჩვენოთ. რაკი მეცნიერებმა ეს მიკროსკოპი მოიგონეს, მაშინ ადვილი იყო ამ უჩინარ ცხოველების აღმოჩენა და თვალით დანახვა. გინდათ შეიტყოთ როგორ? ამაზედ ადვილი არაფერია.

აიღეთ რომელიმე თეთრი მინის ჭურჭელი და ჩაასხით წყალი; მერე წყალში ჩაყარეთ თუ გინდა დაფშხვნილი გამხმარი თივა. ცოტა ხანს უკან თივა დაილპება და წყალი ისევ წმინდა ზემოდ დარჩება. ჭურჭელს მოაკარით პირზე, თუ გინდ, მაგალითად, ლეჩაქის და ან თხელის ტილოს ნაჭერი და გადგით მზეზე, თუ ზაფხულის ცხელი დღეა, და თუ ზამთარია, სითბოში, ცეცხლის ახლო სადმე დადგით. დიდი ხანი არ გაივლის და თქვენის თვალით დაინახავთ, რომ წმინდა წყალი ამღვრეულა. რამ აამღვრია? აბა აიღეთ ეს ამღვრეული წყალი, ერთი ცვარი დააწვეთეთ რაიმე მინის ნაჭერზე და მიკროსკოპით გასინჯეთ: აშკარად დაინახავთ, რომ წყალში რაღაც ირევა, აქეთ-იქით დაძვრება, დარბის. ეს რა ირევა, რა დარბის, რა დაძვრება? რასაკვირველია, ეს რაღაც ცხოველი არსება უნდა იყოს, რადგან თავის-თავად მოძრაობა მარტო ცხოველს შეუძლიან. აი ესენი არიან ის პაწია ცხოველები, რომლების ნახვა პირ-და-პირ თვალით კაცს არ შეუძლიან. ამ ცხოველებს მეცნიერებმა სახელად დაარქვეს „მიკრობი“.

დააკვირდით კარგად მიკროსკოპში და აი რას დაინახავთ კიდევ: ერთი „მიკრობი“ პაწია მორგვალო პარკსა ჰგავს,—ამას მეცნიერები „მიკროკოკს“ ეძახიან; მეორე უფრო მოგძო პარკია,—ეს „ბაქტერია“ იქნება; აი მესამე კიდევ ჯოხივით გაგძელებულა, გაწოწლიკავებულა, — ამას „ბაცილა“ ჰქვიან.

⁂

ხომ ჰხედავთ, რა პაწიები არიან ეს უცნაური ცხოველები, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ესენიც ისევე ცხოვრობენ, როგორც მსხვილი ცხოველები: სჭამენ, სვამენ და მრავლდებიან, მერე რა ძრიელ მრავლდებიან? ოცდა-ოთხ საათში თითო მიკრობი 16 მილლიონ მიკრობსა ჰბადავს, ამ ახლად დაბადებულისაგან თვითეული კიდევ ამდენს ჰბადავს ამავე ხნის განმავლობაში. ამასთან ეს „მიკრობები“ ჰაერის ცვლილებას ძალიან უძლებენ: ძალიან დიდი სიცხე ან დიდი სიცივე უნდა, რომ მიკრობი გაჰქრეს.

არ გეგონოთ, რომ „მიკრობები“ მარტო წყალში ცხოვრობდნენ. არა, წყალი, მიწა და ჰაერი სულ მიკრობებით არის მოფენილი, „მიკრობი“ ყველგან თავის საკმაო საზდოს იშოვნის. მაგრამ ყველაზე გემრიელი საჭმელი ამისთვის ადამიანის და საზოგადოდ ცხოველის სხეულია. რამდენ წვეთს წყალსაც ჩავყლაპავთ, რამდენჯერაც ჰაერს ჩავისუნთქავთ, ათი-ათასობით და მილიონობით ვყლაპავთ „მიკრობებსაც“. „მიკრობები“ ბუდობენ ჩვენს ტინში და ზოგნი იმისთანანი არიან, რომ აჩენენ ათას-გვარ სნეულებას. დღეს მეცნიერება თითქმის ერთ-ხმად აღიარებს, რომ ყველა ის სნეულება, რომელსაც ჩვენ გადამდებ, შესაყარ სნეულებას ვეწოდებთ, ამ ზოგიერთ „მი-

ვიმუშაოთ.“ მაშინვე შეწუნარებულ იქმნა ამხანაგობისათვის მოღვაწეთა(?!) სიტყვა.

წესდების ძალით, ორმოცის წევრის ყოველივე მოქმედება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს «უსათუოდ», რადგანაც „აუცილებლად“ ორი მესამედი მთელის ამხანაგობისა უნდა დასწრებოდა კრებას, ე. ი. არა ნაკლები ასს ორმოც წევრზედა, რადგანაც ეს რიცხვი შეადგენს ორ მესამედს ამხანაგობის წევრებისას. აუცილებლად საჭირო იყო, რომ თავ-მჯდომარეს დაუყოვნებლივ გადაედო კრება შემდეგისათვის, რადგანაც კანონიერი რიცხვი აღარ იყო კრებაზედ. მაგრამ კრება მაინც არ გადაიდო. რაც გადასაწყვეტი იყო, ყველაფერი გადასწყდა, განაჩენი შესდგა და 40 წევრმა, რასაკვირველია, ხელი მოაწერა. ახლა სხვანიც ნელ-ნელა თითო-ოროლნი აწერენ ხელს. იგივე ბოროტი ენები ამბობენ, რომ როცა გაჭირებული ამხანაგი მიდის ან ფულის სასესხებლად, ან ხვედრის სარგებლის ასაღებად, ისე არ აძლევენ, თუ განაჩენზედ ხელი არ მოუწერაო. ამბობენ, მაგრამ ნუ თუ დასაჯერია?!

ქუთათური დათიკო

* * *

ახალციხე, 19 თებერვალს. დიდმარხვის წინა კვირებში ჩვენს მიჩუმებულს ცხოვრებას ცოტაოდენი სიცხოველე დაეტყობა ხოლმე: ამ დროს ჰმართავენ წარმოდგენებს რუსულს, ქართულს და სომხურ ენებზე საქველმოქმედო აზრით და სხვა-და-სხვა კეთილის საქმისათვის დასახმარებლად. წელსაც გამართეს ერთი წარმოდგენა რუსულს ენაზე აქაურის საქალებო სკოლის სასარგებლოდ; ერთი წარმოდგენაც რუსულ-ქართულ-სომხურ ენებზე გაიმართა ამას წინედ ცეცხლისაგან დაზარალებულთ საშველად. უკანასკნელს წარმოდგენაზე ხალხი ბლომად დაესწრო და წმინდა შემოსავალი 200 მანათამდე იყო. ამას გარდა რამდენისამე კეთილის კაცისაგან შესდგა კამიტეტი, რომელიც დაიარება ცოტად თუ მეტად შემძლებლებთან და აგროვებს შემოწირულებას იმავე ცეცხლისაგან დაზიანებულებისათვის; ამბობენ, უკვე 600 მანეთამდე მოკრიფესო. ვისურვებთ, რომ ამაზედ ბევრად მეტი მოკრეფილიყოს და ამ კეთილ საქმეს მოხმარებოდეს ეს მოკრეფილი ფული. ქება და პატივის ცემა ამ კეთილის საქმის მოთავეებს! ნუ თუ არსაიდამ და არავინ ხელს შველისასა და შემწეობისას არ გამოუწოდებს აქაურთ ასე უცაბედად გასაწყლებულთა და გაუბედურებულთ გადამწვართა!?

შაქრო

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად საზღვარ-გარედ გაზეთებში „Nord“-სა და „Politische Correspondenz“-ში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია. ეს წერილი რუსეთის პოლიტიკას შეეხებოდა. წერილში სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ რუსეთს ბალკანის ნახევარ-კუნძულზე არავითარი ინტერესი არა აქვს, რომ რუსეთისთვის საჭიროა მარტო ბოსფორის სრუტე და ის კი, ვის ეჭირება ნახევარ-კუნძული, რუსეთისათვის სულ ერთიაო.

გაზეთი „Современныя Извѣстія“ არ ეთანხმება წერილის ავტორს და პირ-და-პირ ამბობს:

> ტყუილია, ვითომ რუსეთისთვის სულ ერთი იყოს, ვის ეჭირება ბალკანის ნახევარ-კუნძულიო. პირ-იქით, ჩვენთვის ძალიან და ძალიან საჭიროა, რომ ბალკანის ნახევარ-კუნძული ხელში არ ჩაუვარდეს ჩვენს მტერს და მეტადრე მძლავრს მტერსაო.

რომ ვიღაცა მტერს თვალი უჭირავს ბალკანის ნახევარ-კუნძულზე, და ეს მტერი სხვა სლავიანებისათვის უფრო საშიშია, ვიდრე ჩვენთვის,—ამაში ეჭვი ჩვენც არა გვაქვს. ჩვენ შეგვიძლიან გულარხეინად ვიყვნეთ და შორიდამ სეირს ვუყუროთ.

> ვიდრე ოსმალეთის სახელმწიფოს პატრონად ისევ სულთანი ითვლება და ან თვით სლავიანები ეპატრონებიან ამ ქვეყანას, დიახ, მანამ საქმე ასე იქნება ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ, მაგრამ თუ სხვა რომელმამე სახელმწიფომ შემოდგა აქ ფეხი, მაშინ კი ყურს ვეღარ მოვიყრუებთ... თუ ავსტრი-ვენგრიამ გაიწია ეგეის ზღვასა და ბოსფორისაკენ, ეს იმის უტყუარი საბუთი იქნება, რომ ავსტრიას ომის დაწყება უნდაო.

გაზეთი აფრთხილებს ვიღასაც და თანაც ჰკიცხავს, რომ ყურის მოყრუება, თვალის დახუჭვა ამ საქმეში არავის ეპატიებაო, ეს მოღალატობა, განგებ საქმის გადადგომა იქნებაო.

არ გვესმის, ვის და რას ელაპარაკება გაზეთი. განა თავისის თავის მტერი არის ვინმე?..

⁂

უცნაური ხალხი არ დაილევა. ზოგიერთი რამეს აიტეხს, დაადგება სწორე გზას და რაც უნდა უთხრათ, უკან აღარ დაიხევს. იქნება ბევრს საქმეში ეს კარგი და საქებურიც იყოს, მაგრამ ხშირად სასაცილოდაც კი გადაიქცევა ხოლმე. აბა მაშ სასაცილო არ არის ეს ატეხილი აჟინება ერთის კორრესპონდენტისა, რომელზედაც გაზეთი «Петерб. Вѣд.»-ი მოგვითხრობს:

> რუსეთის ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს ერთი ვიღაც კორრესპონდენტი, რომელიც სამოცის წლიდგან დაწყებული არ გადააცდენს და ყოველ თვეს თითო წერილს უგზავნის გაზეთსა. ოცის წლის განმავლობაში არც ერთი სტრიქონი ამ კორრესპონდენტისა არ დაბეჭდილა გაზეთში. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე რედაქტორი გამოსცვლილა ამ გაზეთს და ყველას სათითაოდ უთხოვნია ამ უანგარო თანამშრომელისათვის, თავი დაგვანებეთ, ნუ ჰკარგავთ ტყუილ-უბრალოდ დროსა, ჯაფას და ფოსტის ხარჯსაო. ვერა, ვერაფერმა გასჭრა: ყოველ თვის დამდეგს რედაქციაში უთუოდ წერილი მოვიდოდა ამ კორრესპონდენტისაგან და დაწვრილებით იუწყებოდა ყველა ამბავს, რაც იმის ქალაქში მოხდებოდა. რედაქციამ ბოლოს წერილების წერა დაუწუნა და სთხოვდა: გვაკმარეთ, თავი დაგვანებეთო. ამანაც ვერ იმოქმედა: წერილები თვის თავზე მაინც თავის რიგზე მოდიოდა და ამასთან იმავე ადრესით, რა ადრესიც ამ გაზეთს სამოც წლებში ჰქონდა.

ნეტა ვინ ატანს ძალას ამ კეთილ კაცსა? მაგრამ რას იზამთ, თუ კაცს ჩხირ-კედელაობა უყვარს!

* * *

უცხოეთი

გერმანია. 19 თებერვალს პარლამენტის შესაკრებ დღედ დანიშნული. პარლამენტის პირველი კრება დანიშნულია და არჩევნები-კი ჯერ სრულიად გათავებული არ არის. გერმანიის კონსტიტუციაში ამისთანა გარემოებაზედ არაფერი არა არის-რა ნათქვამი, ხოლო, თქმა არ უნდა, რომ ამისთანა ამბავი პარლამენტის წესსა და რიგს ეწინააღმდეგება. ეს არის მიზეზი, რომ ყველას უკვირს მთავრობის მიერ ასე საჩქაროდ მოწვევა პარლამენტისა. აქ მოწინააღმდეგეთ ერთი ღონის-ძიება შეუძლიანთ იხმარონ და პარლამენტის კრება დაჰშალონ. კრება რომ კანონიერად იქმნეს ცნობილი, უმეტესი ნაწილი უნდა დაესწროს რეისტაგისა, ე. ი. არა ნაკლებ 199 წევრისა. ჯერ-ჯერობით მთავრობის მომხრე დეპუტატი სულ 197 კაცია ამორჩეული; ამიტომ, თუ მთავრობის მოწინააღმდეგეთ პირობა შეჰკრეს და გარდასწყვიტეს, რომ პარლამენტის კრებას არც ერთი ჩვენი მომხრე ნუ დაესწრობაო, პარლამენტის კრება უკანონოდ იქმნება ცნობილი და ვეღარ შესდგება.

გაზ. „Frankfurt. Zeitung“-ი აფრთხილებს მთავრობის მოწინააღმდეგეთა და ურჩევს: მაგ გზას ნუ დაადგებით, რადგან შეიძლება მაგით უფრო გამწვავდეს საქმე და უფრო დიდი უთანხმოება ჩამოვარდეს მთავრობის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა შორისო.

— გერმანიისა და საფრანგეთის აგენტები დიდ-ძალს ცხენებსა ჰყიდულობენ ინგლისში. ჯარისათვის გამოსაყენებელი ცხენი ძალიან ძვირადა ფასობს თურმე.

— ბერლინელი კორრესპონდენტი გაზ. „Morning Post“-ისა ამბობს, რომ გერმანიის სააგენტო პეტერბურგში ყველა საპოლიტიკო წერილებსა სთარგმნის რუსულის გაზეთებიდგან და თავად ბისმარკთანა ჰგზავნისო. ამ კორრესპონდენტის სიტყვით, ბისმარკი დიდს ყურადღებას აქცევს ამ წერილებსაო.

— მთავრობას გერმანიისას აღუკრძალავს ელზას-ლოტარინგიაში სხვა-და-სხვა საზოგადოებათა შედგენა და დაარსება.

ავსტრი-ვენგრია. ავსტრიის მთავრობას 52½ მილიონს მანათს თხოულობს დელეგაციისაგან სამხედრო ხარჯისა და მომზადებისათვის; ამ ფულში 8 მილიონი უკვე დახარჯულია და 16 მილიონიც ამ დღეებში უნდა დახარჯდეს თურმე სხვა-და სხვა თოფ-ზარბაზნის მექარხნეთა. დანარჩენი 28 მილიონი უნდა გადადებულ იქმნეს მოსალოდნელის ხარჯისათვის. ბრიუნში მაუდის ქარხნები დღე-და-ღამ მუშაობენ თურმე და ჯარის შესამოსად მაუდს ამზადებენ; ქარხნებში მომუშავეთ ფასი მოუმატებიათ ბევრის საქმეების გამო. ამასთან ავსტრი-ვენგრიის მთავრობა კი ყოველ-დღე აცხადებს, რომ ჩვენ ომს არა ვართ მოწადინებული და მშვიდობიანობის დაცვა გვსურსო.

— გრაფ კალნოკის აზრით, საფრანგეთისა და გერმანიის შორის უფრო მშვიდობიანი დამოკიდებულება სუფევს ამ ბოლოს დროს და ისეთი შიში აღარ უნდა გვქონდეს ამ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის ომისა და ბრძოლის ატეხისა. ამავე გარემოების წყალობით, იმედია, აღმოსავლეთის საქმეც უფრო მშვიდობიანად გადასწყდებაო. დიპლომატიურს წრეებში ხმა დადის, რომ რუსეთისა და ავსტრი-ვენგრიის შორის ამ ბოლოს დროს კეთილი განწყობილება ჩამოვარდაო. მშვიდობიანობას მომასწავებელ გარემოებად იმ ამბავსაც სთვლიან, რომ იმპერატორს ფრანც-იოსებს განუზრახავს სამი კვირა ზეპტში დარჩენაო.

ოსმალეთი. სტამბოლიდგან აუწყებენ დეპეშით გაზ. „Новое Время“-ს, რომ ოსმალეთმა თავის მიწა-წყალზედ აღუკრძალა ჩერნოგორიას გატარება იარაღისა და ზარბაზნებისაო.

— „Politische Correspondenz“-ი ამბობს: ოსმალეთი დათანხმდა, რომ ბოლგარიის საქმის გადაწყვეტის გამო საუბარი და მოლაპარაკება სტამბოლიდგან სოფიაში იქმნეს გადატანილი და ამის გამო თავისი კამისარი რიზა-ფაშა გაჰგზავნა უკვე ბოლგარიაშიო. ამასთან ოსმალეთმა თავის მხრივ რჩევა მისცა სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას, რომ როგორმე მოურიგდით რუსეთს და ისეც გამწვავებულს საქმეს ბოლგარიისას უფრო მეტად ნუ გაამწვავებთ და ნუ გაძნელებთო.

* * *

კრობებისაგან“ წარმოსდგება. ამ სახით ყოველ-გვარი ჭირი ადამიანისა და სხვა ცხოველისა, ქამი, ხოლერა, მოარული, ჭლექი, სახადი, ყვავილი და სხვა ამ გვარი სნეულება ამ პაწია ცხოველებისაგან არის. ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველ სნეულებას თავისი საკუთარი «მიკრობი» ჰყავს. მაგალითად, ხოლერას ჰბადავს ერთ-გვარი „მიკრობი“, რომელიც ნიშანს მძიმესა (,) ჰგავს, და ამიტომ „მძიმის მაგვარ ბაკცილას“ უწოდებენ; ჭლექი სხვა გვარ «მიკრობისაგან» წარმოსდგება; ამასთანავე ჭლექის „მიკრობს“ არ შეუძლიან ხოლერით გახადოს ადამიანი ავად და ხოლერისას ჭლექით.

ზემოდა ვთქვით რომ „მიკრობი“ დიდ სიცივეს ვერ უძლებსო. ამიტომ „მიკრობი“ ვერ სცოცხლობს იმ ზღვებში, რომელიც მეტი დრო თითქმის გაყინულია; მიკრობი ვერა ხეირობს აგრეთვე მთის წვერებზე, სადაც მუდმივ თოვლი სდევს და საზოგადოდ მაღალ ადგილებზე, მთებში ძალიან ცოტაა. ამიტომ ჭლექები მთებში კარგადა ჰგრძნობენ ხოლმე თავიანთ თავსა, ამიტომ აგრეთვე ხოლერისა და ჭირიანობის დროს ბევრს იხსნის ხოლმე ჭირისა და ქამისაგან მთებში გახიზვნა.

⁂

ზემოდ რომ ვსთქვით, რომ ყოველ წყლის ცვარსა, ყოველ ჰაერის სუნთქვას ადამიანი მილიონობით „მიკრობებს“ თან ატანსო, და ეს «მიკრობი“ ჰბადავს ათას-გვარ სნეულებასაო,—ყველას, რასაკვირველი, ეჭვი დაებადებოდა გულში და იტყოდა: თუ ეს მართალი იყოს, მაშ ხომ ყველანი უნდა ვსნეულობდეთ, ავად ვიყვნეთ და ხომ ყველანი დავიხოცებოდითო.

დიახ, ბატონებო, ასეც იქნებოდა და მაშინ ქვეყანაზე სიცოცხლეც მოისპობოდა. მაგრამ ბუნებაში ასეა მოწყობილი, რომ მტერს მტერი არ დაელევა. „მიკრობსაც“ თავისი მტერი ჰყავს. ეს მტერი ჩვენი ერთგული მოკეთეა და ერთგულად ებრძვის ჩვენს დაუცხრომელს მტერს „მიკრობსა“.

ეს ჩვენი მოკეთე, „მიკრობის“ მტერი ჩვენი სისხლია. რა ხდება, რა მოსდის „მიკრობს“ სისხლში? მანამ ამას გეტყოდეთ, ჯერ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ იმაზე, თუ რა არის ადამიანის სისხლი. ადამიანის სისხლი შესდგება ორის უმთავრესის ნაწილისაგან; ორივეს რგვალის მარცვლის სახე აქვთ, ერთი წითელის ფერისაა, მეორე თეთრია. ორივე ისეთივე ცხოველები არიან, როგორც „მიკრობები“ და ორსავეს თავ-თავის დანიშნულება აქვს. ამაზედ ლაპარაკი საზოგადოდ ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა და არც არის ეს საჭირო იმის გასაგებად, რის თქმაც მე მინდა.

მე მინდოდა მეთქვა, რომ აი სწორედ ეს „თეთრი მარცვალი“ სისხლისა არის „მიკრობების“ დაუცხრომელი მტერი. ჩავა თუ არა ჩვენ სხეულში „მიკრობი“ და სისხლთან მიაღწევს, მაშინვე ეს „თეთრი მარცვლები“ ეცემიან და ასტყდება ხოლმე საშინელი ომი. მეტადრე ეს ბრძოლა გაცხარებულია ხოლმე ელენთაში, რადგან აქ უფრო ბლომად არის «სისხლის თეთრი მარცვალი». რომელიც გაიმარჯვებს, რასაკვირველია, ბურთი და მოედანიც იმას დარჩება. თუ „მიკრობები“ დასძლევენ, მაშინ ადამიანს სნეულობა შეიპყრობს, თუ „თეთრმა მარცვალმა“ აჯობა, ადამიანის ტანში ვერა სნეულობა და ჭირი ფესვს ვერ გაიდგამს. ამიტომ რაც უფრო ბლომად, მძლავრად და ჯანსაღად არის ადამიანის სისხლში «თეთრი მარცვალი», იმდენად უფრო „მიკრობები“ ვერას აკლებენ და სნეულება ადვილად ვერ ეკიდება.

ამის გამო იმ ცხოველებს, რომელთაც სისხლში მარტო „თეთრი მარცვალი“ აქვთ, „მიკრობები“ ვერას აკლებენ და ასეთი სნეულობა, როგორც ხოლერაა, ჭირი და სხვა, თავის დღეში არ შეეყრებათ ხოლმე. ამისთანა ცხოველებს, როგორც მაგალითად, კიბო და სხვები, ჩვენ უსისხლოებს ვეძახით. ეს ტყუილია. სისხლი ამათაცა აქვთ, მხოლოდ ჩვენსავით წითელი კი არა, არამედ თეთრი. თეთრი იმიტომ არის ამათი სისხლი, რომ ის წითელი მარცვალი, რომელიც ჩვენს სისხლს წითელს ფერს აძლევს, ამათ სისხლში სრულიად არ არის. ამის მაგიერ, „სისხლის თეთრი მარცვლები“ ჭარბად არის და ამიტომაც „მიკრობები“ ამათ ვერას ავნებენ.

მეცნიერებს ერთი საინტერესო მაგალითი მოჰყავთ, რომელიც თვალნათლად გვიჩვენებს «მიკრობებისა და თეთრ მარცვლების» ბრძოლას. უნდა გითხრათ, რომ გახრწნილის გვამის სისხლს საშინელი შხამი აქვს. ამ გვარს სისხლში ბლომად ჰბუდობს „მიკრობი“ და ესენიც ისე შხამიანდებიან და მძლავრდებიან, რომ ძნელად თუ ამათ „თეთრი მარცვლები“ დასძლევენ-და.

აი ამ გვარის სისხლით მოსწამლეს ერთი თაგვი. თაგვი მალე მოკვდა. გასჭრეს მაშინვე და აი რა ნახეს: «თეთრ მარცვლებს» «მიკრობები» ზოგი სრულიად ჩაეყლაპათ, ზოგი ნახევრად, მაგრამ მიკრობი მაინც ბლომად მოჩანდა.

ეს სურათი ნამდვილს ომს მოგაგონებთ. ორი მტერი ერთმანეთს დასცემიან, საშინელი ბრძოლა ჰქონიათ, ორივე მხარეს ბევრი გაწყვეტილა, მაგრამ ერთი უფრო მეტი ყოფილა რიცხვით და მტერი დაუმარცხებია: რასაკვირველია, აქ გამარჯვებული „მიკრობები“ დარჩენილან და დამარცხებული „თეთრი მარცვლები“.

(დასასრული ხვალ)

გასართობი

რედაქციის საიდუმლო. ძნელად თუ ისე გაუფრთხილდეს რომელიმე გაზეთი რედაქციის საიდუმლოს, როგორც ამას წინად გაზეთი „Times"-ი გაუფრთხილდა. წარსულის წლის დეკემბრის თვეში ამ გაზეთმა გამოაცხადა ლორდ ჩერჩილის სამსახურიდგან გამოსვლა. ეს საქმე ისე უეცრად მოხდა, რომ ყველამ გაიკვირვა, რადგან არავინ მოელოდა, თუ ლორდი ჩერჩილი სამსახურს თავს დაანებებდა. კეთილშობილმა ლორდმა გაზეთ „Times"-ის რედაქციას მიანდო ამ ამბის 23 დეკემბერს გამოცხადება. რედაქციამ ყოველივე ღონის-ძიება იხმარა, რომ ეს ამბავი დაეფარა და ყველაზედ უწინ ამ გაზეთის მიერ გამომჟღავნებულიყო ჩერჩილის სამსახურიდგან გადადგომა. 22 დეკემბერს საღამოს 11 საათზედ ლორდი ჩერჩილი მივიდა ამ გაზეთის უფროსს რედაქტორთან და მთელი საათი მასთან დარჩა. როცა ჩერჩილი უფროსს რედაქტორს გამოეთხოვა და წავიდა, ყველა კარებები რედაქციისა, სტამბისა და კანტორისა დაჰკეტეს; ამ კარებების გასაღებები თვით უფროსს რედაქტორსა ჰქონდა და ვიდრე გაზეთი სრულიად არ დაიბეჭდებოდა, არავისა ჰქონდა ნება სახლიდგან გარედ გასვლისა. ღამის დეპეშებს ფანჯრიდგანა ღებულობდნენ. ამ ღონის-ძიებათა გამო მეორე დღეს მხოლოდ ერთმა „Times"-მა გამოაცხადა ჩერჩილის სამსახურიდგან გადადგომა და მეტად გააოცა მკითხველი საზოგადოებაცა და გაზეთებიცა.

**

იშვიათი ოჯახი. პერნამბუკეს გაზეთი ერთს საოცარს ამბავსა სწერს. ამ გაზეთის სიტყვით, ქალაქ კაბარნირაში ერთი კაცი ცხოვრობს თურმე, გვარად იოაკიმე მარიერო, რომელიც დაბადებიდგან 103 წლისა იქნება; ამ კაცის ცოლი 97 წლისაა. ეს ცოლ-ქმარი 73 წელიწადია, რაც შეუღლებულნი არიან და 23 შვილი მისცემიათ. ამ ოც-და-სამში 9 ვაჟი და 5 ქალი ეხლაც ცოცხლები არიან; ამ შვილებისაგან 126 შვილის-შვილი ჰყავს ამ ცოლ-ქმარს და 91 შვილის-შვილის-შვილი. მთელი ეს ოჯახობა-კი 233 სულისაგან შესდგება.

**

ხანგრძლივი სიცოცხლე. ანატოლიაში ერთი დედა-კაცი ცხოვრობს ეხლაც თურმე, რომელიც 150 წლისაა და აქამდე ჯერ იმდენად არ გატეხილა, რომ ყანაში სამუშაოდ დადის და თავისიანებს მკასა და ლეწვასა ჰშველისო.

დეპეშა

23 თებერვალი

სოფია. როგორც ამბობს ოფიციალური განცხადება, დღეს დილით 8 საათზე უკვე დახვრიტეს რვა აფიცერი, რომელთაც სწრაფმა სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადუწყვიტაო.

დღეს, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე აღსრულებაში იქმნა მოყვანილი, გერმანიის კონსულმა გამოუგზავნა ბოლგარიის მთავრობას ნოტა და აუწყა შემდეგი: როგორც მაცნობებს რუსეთის წარმომადგენელი ბუქარესტში ბ-ნი ხიტროვო, ის შვიდი აფიცერი, რომელნიც შეპყრობილ იქმნენ იარაღით ხელში და რომელთაგანაც ორი: უზუნოვი და პანოვი უკვე დაისაჯნენ სიკვდილით, რუსეთის ქვეშევრდომნი არიანო. ამისათვის, მწერს კონსული, მე ვთხოულობ, რომ იმ შეპყრობილ აფიცრებს ისე მოექცნენ, როგორც რუსეთის ქვეშევრდომთაო. ბოლგარიის მთავრობამ მისწერა პასუხად, რომ ყველა მსჯავრ-დადებულნი, კაპიტან გოლმანის გარდა, ბოლგარიის ქვეშევრდომნი იყვნენო. სასამართლოში თვითონვე გამოაცხადეს, რომ ბოლგარიელნი ვართო. როგორც ეტყობა, მთავრობას განზრახვა აქვს აპატიოს და შეიწყალოს დანარჩენი მსჯავრ-დადებულნი დამნაშავენი, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო წოდებისანიო.

ის გავრცელებული ხმა, რომ ვითომ ტირნოვოში აჯანყება დაიწყოო, უსაფუძვლო ხმა არის. სოფიაში ბევრი ტყუილი ხმები დადის და ვრცელდება. ამ გვარი ხმები ვრცელდება უფრო საერთო აღელვების გამო, ვიდრე ბოროტის განზრახვის მიზეზითაო.

ჟურჟევო. დეპეშა „ჰავასის სააგენტოსი". სიკვდილით დასჯილთა რიცხვი სულ 13, მათ შორის 2 მაიორია, 2 კაპიტანი, 2 პარუჩიკი და 2 სამოქალაქო უწყების კაცი.

სოფიაში დააპატიმრეს 24 კაცი, ხოლო ბურგასში 8. ამას გარდა დაატუსაღეს და დაითხოვეს რამდენიმე აფიცერი ფილიპოპოლში.

სოფიაში შიშის ზარი ჰსუფევს; აქაურმა მილიციამ ეჭვი აღებინა მთავრობას თავის ქცევითა და ამის გამო მთავრობამ იარაღი აჰყარა. შეპყრობილებს მეტად სასტიკად ეპყრობიან.

სოფია. საერო კრებას ჩქარა მოიწოდებენ

ბერლინი. რეიხსტაგმა გაათავა ერთხელ წაკითხვა სეპტენატისა; მეორედ წაიკითხავენ სრულს კრებაში. სამხედრო მინისტრი ურჩევს, რომ ბევრი კენჭი უნდა არგუნოთ ამ კანონსაო.

პეშტი. რაკი სამხედრო კრედიტის კანონ-პროექტი შეიწყნარებულ იქმნა, დელეგაციები დაიხურა.

24 თებერვალს.

რუშჩუკი. აქაურის მთავრობის სიტყვითა და მოწმობით, მთელ ბოლგარიაში მშვიდობიანობა დამყარებულა. აქ კი მაინც მალიანა ფრთხილობენ და ბევრსაცა იჭერენ და ამწყვდევენო. როგორცა სჩანს, შიშობენ, რომ ხელ-ახლად არეულობა არ მოახდინონო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ს თებერვალს ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— ›	— ›	9 20
ტამოჟნის კუპონები	— ›	— ›	— ›
5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი	— »	— ›	242
— მეორისა	— ›	— ›	235½
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	97	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა	97	— ›	— ›
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— ›	85	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

25 დღე ოთხშაბათი. წმ. ტარასი არხიეპისკ. კათოლ. ვიქტორინასი, ფელიქსისა და ცეზარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11; ტფილისში მზე ამოდის 6—22, ჩადის 6—1. მთვარე 15 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. წმ. პორფირი ეპისკოპ. შობა მისს იმპ. დ. იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს-ძისა, 42 წლ. კათოლ. ალექსანდრესი და ფორტუნატისა მუსულ. მე-16 დღე ჯემად-ულ-ახირის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 6—2; მთვარე ამოდის 7—17 საღ.

27 დღე პარასკევი. მოწ. პროკოპი ეპისკ. კათოლ. ლეონარდისა და ანასტასიასი. სომეხ. მე-12 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 6—3. მთვარე 17 დღისაა.

28 დღე შაბათი. ვასილი აღმსარებელ. მოწ. ნესტორ ეპისკ. კათოლ. რომანისა და რუფინისა. სომეხ. წმ. კირილე იერუსალიმელისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 6—4.

მარტი 31 დღით არის

1 დღე კვირა. ღირს. ქალწ.-მოწ. ევდოკიასი. კათოლ. ეპისკ. ალბინისა და ანტონინისა. გარდაცვალება იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძისა, 1881 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 6—5. მთვარე 12 დღისაა.

2 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. თეოდორასი. კათოლ. იმპ. ელენასი, ამელიასი და სიმფორიანისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტახტად აღსვლა მ. დ. იმპერატორის ალექსანდრე III-სი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—14, ჩადის 6—6.

3 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. ევტროპ, ზენონ და ზოილისა. კათოლ. კუნეგუნდისა და კორნელიასი. მუსულ. გარდაცვალება ხალიფის აბუბექარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 6—7.

გამოსადეგი ცნობანი
ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი. . . .	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	9 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხსას.	8 ›
› 2 ›	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით—

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდან პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

ტფილისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველ-დღე 12 საათიდამ 2 საათამდე ბანკის სადგურში ისყიდება კერძო მორიგებით ქვემოხსენებული მამულები თუ ვინიცობაა ერთსა და იგივე მამულს ორი მყიდველი აღმოუჩნდა, მაშინ მამული დარჩება იმ მყიდველს, რომელიც უფრო უმეტესს ფასს მისცემს.

ქალაქის მამულები

ქანანოვისა, მაგდანა პეტრეს ასულისა. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყოველისავე მოწყობილობით და მიწა 190½ ოთხ კუთხ. საჟ. 1 არშ. და 188 ოთხ-კუთხი ეზომოკი ტფილისში, დავიდოვის და კომენდანტის ქუჩების კუთხეში.

ამიროვისა, ალექსანდრე სტეფანის ძისა და მირზოევისა, გაბრიელ მინაის ძისა: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიშენებულით, ფლიგელებით და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა 495 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისში, ველიამინოვის და განოვის ქუჩებზე.

პრაკაპოვიჩისა, სიმონ პრაკოფიევის ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და ყოველისავე მოწყობილებით, ერთ-სართულიანივე სახლი საჯინიბოთი და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი, სხვა შენობებით და საჯინიბეთი. მიწა 1756½ ოთხ კუთხი საჟ. ტფილისში, ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე.

თუმანოვისა, სვიმონ თომას ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა 241½ ოთხ-კუთხი საჟ ქ. ალექსანდროპოლში.

ისარლოვისა, რაფაელ პეტრეს ძისას ორი ერთ-სართულიანი ქვითკირი; სახლი ყოველისავე მოწყობილებით. მიწა 242 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, კუკიაში, წყლის პირის ქუჩაზე.

მირზახანოვისა, იაგორ გრიგორის ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებითა და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი ყოველისავე მოწყობილებით, მიწა 1060 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, ავლაბარში.

მირზახანოვისა, იაგორ გრიგორის ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველისავე მოწყობილებით, მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, ავლაბარში.

მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასულისა. ოთხი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ხუთი ერთ-სართულიანი სახლივე ფლიგელებით და სარდაფებით, მიწა 958 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისში, დამოყნის ქუჩაზე, ძველის დამოყნის ახლო.

სოფლის მამულები

მელიქ-შახნაზაროვისა, იოსებ ბეგბაგრამ-ბეგის ძისა. სახნავი და საძოვარი მიწები, სულ 950 დესეტინა, 275 ოთხ-კუთხი საჟ. განჯის გუბერნიაში და იმავე მაზრაში, სოფ. ყარაარხში, რკინის გზის ლიანდაგს ახლო, განჯისა და შამხორის რკინის-გზის სადგურების შუა.

მიხაილოვისა, ნატალია თომას ასულისა. სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები და ტყე, სულ 422 დესეტინა 1160 ოთხ-კუთხ. საჟ ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ გვარებში.

ზანდუკელისა, ოტია გიორგის ძისა. სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები და ტყე, სულ 473 დესეტინა 1,200 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. ბულაჩაურში.

ჯორჯაძებისა, მიხაილ ნოდარის ძისა და კონსტანტინე სოლომონის ძისა. ვენახი, ზომით 3 დესეტ. 2160 ოთხ-კუთხ. საჟ ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელ საბუეში.

დაწვრილებულ ცნობათა შეტყობა ყოველივე ზემოხსენებულის მამულებისა შეიძლება ბანკის სადგურში ყოველ დღე 10 საათიდამ 2 საათამდე.
(5—5)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავად-აზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—34)

Дов. цена. Тиф. 24 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე